ფონდი „სოხუმის“ ახალგაზრდული კლუბების მუშაობის მონიტორინგის ანალიზი

მიმდინარე 2017 წლის აპრილში ფონდი „სოხუმის'' მიერ ახალგაზრდული კლუბის წევრებთან განხორციელებული მუშაობის დადებითი შედეგებისა და გავლენის გამოსაკვლევად ჩატარდა გამოკითვა ახალგაზრდული კლუბის წევრების ფოკუს-ჯგუფებში. სადაც სპეციალურად შემუშავებული ღია ტიპის კითხვარი მათზე მუშაობის დადებითი შედეგების გამოვლენას ემსახურება.
ახალგაზრდულ კლუბში გაერთიანებული წევრების გააქტიურება, ინფორმირებულობა სხვადასხვა აქტუალურ და მნიშვნელოვან საკითხებში, მათი პოტენციალის მოტივირება და ინიციატივების ხელშეწყობა, რათა შემდგომ თავად გაუწიონ ორგანიზება ახალგაზრდულ წრეებში სხვადასხვა სახის ღონისძიებებს, როგორც მოხალისეებმა - ეს არის მათთან მუშაობის მთავარი პრიორიტეტი.

მონიტორინგისათვის კვლევა ჩატარდა დასავლეთ საქართველოს 6 რეგიონის: ქუთაისი, წყალტუბოს, ხონის, სენაკის, ფოთის, კოკის (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) ახალგაზრდულ კლუბებში, სადაც რესპონდენტთა საერთო რაოდენობა **შეადგენდა 90 პირს. თითოეულ რეგიონში გამოკითხულ ახალგაზრდათა რაოდენობა თანაბარი იყო და შეადგენდა 15 პირს.**
გამოკითხულ ახალგაზრდა რესპონდენტთა შორის, კითხვაზე: „რამდენი ხანია, რაც ახალგაზრდა კლუბის წევრი ხართ?“ პასუხები შემდეგია:

	ქუთაისი	წყალტ	ხონი	სენაკი	ფოთი	კოკი	ჯამი
პირველადან (ახალი წევრი)	13.3%	26.6%	6.6%	20%	33.3%	6.6%	17,7%
3-4 თვეა	20%	13.3%	13.3%	0%	0%	13.3%	10%
6 თვეა	20%	13,3%	20%	33,3%	13,3%	20%	20%
1წელია	26,6%	20%	20%	20%	20%	26,6%	22,2%
2 წელია	0%	13,3%	20%	13,3%	33,3%	26,6%	17,7%
3 წელია	20%	13,3%	26,6%	13,3%	0%	6,6%	15,5%

მონაცემების მიხედვით, ექვსივე რეგიონში კლუბის წევრებს შორის დიდი წილი მოდის იმ ახალგაზრდებზე, რომლებიც 6 თვიდან 1 წლამდე არიან ჩართულები მუშაობაში. ყველაზე მცირე რაოდენობით კი ისინი, ვინც 3-4 თვეა შეუერთდა კლუბს.
დაგეგმილი შეხვედრების თემატიკის მიხედვით კლუბში განხილული, მათთვის საინტერესო და აქტუალური თემები ყველა რეგიონის კლუბის წევრებისთვის მსგავსია. როგორც რესპონდენტი ახალგაზრდების პასუხებიდან ჩანს, ერთნაირი

ინტერესით ისმენენ მათთვის მიწოდებულ საკითხებს. ცალკეული თემებიდან გამოყოფენ ძალადობის თემა და ეთიკა-ესთეტიკას, ქალთა სოლიდარობას, გენდერულ თანასწორობას. თუმცა მცირედი განსხვავებით, თემატიკა პრიორიტეტების მიხედვით შემდეგნაირად ლაგდება:

	ქუთაისი	წყალტ	ხონი	სენაკი	ფოთი	კოკი	ჯამი
ძალადობა, ოჯახში ძალადობა, ქალთა უფლებები, სოლიდარობა	53,3%	40%	60%	60%	53,3%	66,6%	55,5%
ეთიკა, ესთეტიკა, აზარტული თამაშები. ეკოლოგია	13,3%	26,6%	33,3%	20%	40%	13,3%	24,4%
გენდერული თანასწორობა, საერთაშორისო დოკუმენტები, მართლმსაჯულება	46,6%	26,6%	33,3%	33,3%	40%	26,6%	34,4%
სექსუალური აღზრდა, ნაადრევი ქორწინება, ქალთა უფლებები	26,6%	40%	40%	33,3%	40%	40%	36,6%
ჯანსაღი ცხოვრების წესი, სპორტი	13,3%	20%	26,6%	20%	33,3%	26,6%	23,3%
ქალთა სოლიდარობა, გენდერული საკითხები, ადამიანის უფლებები ტრეფიკინგი	33,3%	33,3%	26,6%	53,3%	40%	53,3%	40%
კომუნიკაცია, კონფლიქტები, სუიციდი	20%	33,3%	40%	26,6%	46,6%	60%	37,7%
ყველა თემა საინტერესოა	40%	53,3%	46,6%	40%	26,6%	53,3%	43,3%

თუ რა გავლენას ახდენს ახალგაზრდული კლუბის მუშაობა ახალგაზრდებზე, შეიძლება ითქვას, რომ კლუბის მუშაობის დადებით გავლენაზე ყველა აკეთებს აქცენტს. განსაკუთრებით პოზიტიური ზეგავლენის მნიშვნელობა ენიჭება მათი მხრიდან ინფორმირებულობას - ცოდნის მიღებას მათთვის საინტერესო, საჭირო და მნიშვნელოვან საკითხებზე. ასევე ახალი ინტერესებისა და მოტივაციების ჩამოყალიბებას.

გარდა ამისა, ყოველი რეგიონის თითოეული წევრისათვის კლუბის მნიშვნელობას კიდევ სხვა ფუნქცია და როლი აქვს, მათ შორის:

	ქუთაისი	წყალტ	ხონი	სენაკი	ფოთი	კოკი	ჯამი
ცოდნას ვიმდიდრებთ, საჭირო უნარ-ჩვევებს ვიძენთ	53,3%	33,3%	60%	26,6%	66,6%	60%	50%
ორგანიზებულობასა და დროის რაციონალურად მართვას გვასწავლის	46,6%	40%	40%	26,6%	13,3%	13,3%	30%
უფრო აქტიურებსა და თავისუფლებს გვხდის	26,6%	46,6%	13,3%	33,3%	40%	20%	30%
სწორ კომუნიკაციასა და საღ აზროვნებას გვაჩვევს	26,6%	20%	26,6%	33,3%	33,3%	26,6%	27,7%
შევიძინე ბევრი მეგობარი	13,3%	0%	20%	6,6%	13,3%	0%	8,8%
გამიჩნდა ბევრი ახალი ინტერესი და მოტივაცია	26,6%	33,3%	20%	40%	33,3%	33,3%	31,1%
გვეხმარება შეხვედრებზე და ტრენინგებზე საკუთარი თავის წარმოჩენაში, უფრო კომუნიკაბელური გავხდი	46,6%	13,3%	20%	26,6%	33,3%	33,3%	28,8%
ვისწავლე ჩემი და სხვისი უფლებების დაცვა	33,3%	26,6%	26,6%	40%	20%	33,3%	30%
არაფერს მაძლევს, (ნეიტრალურს)	0%	0%	0%	0%	0%	0%	0%

კითხვაზე, თუ რაში და სად იყენებენ ახალგაზრდები შეხვედრებზე მიღებულ ინფორმაციას, რესპონდენტთა პასუხები შემდეგი ილუსტრაციით შეიძლება შევაფასოთ:

	ქუთაისი	წყალტ	ხონი	სენაკი	ფოთი	კოკი	ჯამი
უზიარებს თანატოლებს, სკოლაში, მეგობრებს, ოჯახის წევრებს, მეზობლებს, ნათესავებს	33,3%	26,6%	46,6%	40%	53,3%	46,6%	41,1%
იყენებს ზოგადად საზოგადოებასა და ცხოვრებაში	20%	40%	20%	40%	33,3%	26,6%	30%
იყენებს დისკუსიებზე, ტრენინგებზე, ვორკშოპებზე, მრგვალ მაგიდებზე	40%	26,6%	13,3%	33,3%	13,3%	6,6%	22,2%
იყენებს ყველგან და ყველა საჭირო სიტუაციაში	33,3%	40%	26,6%	26,6%	26,6%	26,6%	32,2%
სკოლაში სამოქალაქო გაკვეთილებზე, ვაგრძელებ განხილვას და თემის ანალიზს ჩემი განვითარებისათვის	26,6%	20%	20%	40%	33,3%	46,6%	31,1%
ახალი ვარ, ჯერ არსად გამომიყენებია, მომავალში გამოვიყენებ	20%	6,6%	13,3%	20%	6,6%	13,3%	13,3%
არსად და არაფერში	0%	0%	0%	0%	0%	0%	0%

შენიშვნა: როგორც საილუსტრაციო ცხრილიდან ჩანს, ახალგაზრდების უმეტესი ნაწილი ყველა რეგიონში, ინფორმაციას ძირითადად ოჯახში, ნათესავებში, თანატოლებსა და სკოლაში აზიარებს.

ცალკეული რეგიონების მიხედვით რესპონდენტების მცირე რაოდენობა აღიარებს, რომ ის ჯერ ახალია და არსად გამოუყენებია ეს ინფორმაცია. ძირითადი ნაწილი კი საჭიროებების მიხედვით ყველა სიტუაციაში იყენებს მიღებულ ცოდნას.

ფონდის მიერ გაწეული მუშაობის დადებითი გავლენის მონიტორინგისათვის აუცილებელი იყო, გაგვერკვია პროექტის ძირითადი მიზნის მისაღწევად რამდენად შედეგზე ორიენტირებულია შეხვედრების როლი. ამიტომ ფონდის ინტერესი ამ ახალგაზრდათა დამოუკიდებელი ინიციატორული საზოგადოებრივი აქტიურობის შესახებ, მათ მიერ ავტონომიურად განხორციელებული ღონისძიებებით შეიძლება იყოს შეფასებული. გამოკითხვამ კი შემდეგი სტატისტიკური მაჩვენებელი მოგვცა:

	ქუთაისი	წყალტ	ხონი	სენაკი	ფოთი	კოკი	ჯამი
დამოუკიდებელი ღონისძიებების ორგანიზება (ძალადობა, სოლიდარობა, ჯანსაღი ცხოვრება, სოციალური საკითხები)	**33.3%**	**26.6%**	**26.6%**	**40%**	**40%**	**33.3%**	**33.3%**
აქციებში მონაწილეობა და ორგანიზება	**26.6%**	**20%**	**20%**	**20%**	**20%**	**6.6%**	**18.9%**
ვორკშოპების მოწყობა, მრგვალი მაგიდები. საინფორმაციო შეხვედრა	**33.3%**	**26.6%**	**20%**	**33.3%**	**26.6%**	**26.6%**	**27.7%**
ჯერ არ განმიხორციელებია და ვგეგმავ მომავალში	**20%**	**6.6%**	**20%**	**13.3%**	**13.3%**	**20%**	**15.5%**
მხოლოდ შეხვედრების მონაწილე ვარ. ჯერ არსად გამომიყენებია	**13.3%**	**20%**	**6.6%**	**20%**	**13.3%**	**20%**	**15.5%**
დამოუკიდებელი ინიციატივა არ მქონია	**6.6%**	**13.3%**	**13.3%**	**13.3%**	**6.6%**	**20%**	**12.2%**

როგორც ახალგაზრდების პასუხებიდან ჩანს, მათ მიერ განხორციელებული დამოუკიდებელი აქტივობები, ძირითადად, სკოლის ფარგლებში მათ გარემოცვაში ხორციელდება. ისინი დამოუკიდებლად მართავენ საინფორმაციო შეხვედრებს, დისკუსიებს სხვადასხვა მათთვის მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებზე. ხოლო კლუბების შედარებით ახალი წევრები, რომლებსაც ჯერჯერობით ინიციატივა არ გამოუჩენიათ და მათი აქტივობა მხოლოდ მონაწილეობით შემოიფარგლება, იმედოვნებენ, რომ მომავალში ავტონომიურადაც შეძლებენ სხვადასხვა ღონისძიების დაგეგმვას და რეალიზებას.

ღია კითხვაზე დამოუკიდებლად განხორციელებული აქტივობის შესახებ პასუხების დაჯამებით, მათ მიერ სხვადასხვა რეგიონში განხორციელებული აქტივობები შემდეგია.

ქუთაისი: - 5 საინფორმაციო შეხვედრა ქალაქის სკოლებში - მე-11 სკოლა, მე-15 სკოლა, 22-ე სკოლა, 30-ე სკოლა, კერძო სკოლა „21-ე საუკუნე“, კერძო სკოლა „პროგრესი“

განხილული თემები: ძალადობა, ბულინგის პრობლემა ახალგაზრდებში, ჯანსაღი ცხოვრების წესი, ტოლერანტობა.

წყალტუბო: 3 ღონისძიება - ხელნაკეთი ნივთების გამოფენა, ღია კარის დღე „კითხვის დღე“, საინფორმაციო შეხვედრა სოფელ ბანოჯაში თემაზე „აზარტული თამაშების პრობლემა“.

სენაკი: სენაკის ახალგაზრდების ძირითადი მოტივაცია არის პროექტების წერა. შექმნილია სამუშაო ჯგუფი.

მენჯის საშუალო სკოლა; სპორტული ღონისძიებების ჩატარება. კალათბურთში შეჯიბრი სენაკის მე- 2 სკოლასთან, 1-ლ და მე-3 სკოლებთან.
ფოთი: 4 ინიცირებული ღონისძიების ჩატარება 21-ე სკოლაში. საინფორმაციო შეხვედრა მოსწავლეთა უფლებების შესახებ. გაერთიანებული ახალგაზრდული კლუბის აქტივისტების მიერ ჩატარებული 2 ღონისძიება „თავისუფალი სივრცე“
ხონი: სოფელ ივანდიდის აქტივისტების მიერ ჩატარებული 2 ღონისძიება ოჯახში ძალადობის თემაზე და გენდერულ თანასწორობაზე.
კოკი: საინფორმაციო შეხვედრები ორსანტიის სკოლაში, პროექტების აქტიური წერა, ხის მასალისგან დამზადებული სუვენირებისა და ნივთების გამოფენა-გაყიდვა.

თუ რა შეიცვალა ამ ახალგაზრდებში მას შემდეგ, რაც ისინი აქტიურად ჩაებნენ კლუბში და მის მუშაობაში, ექვსივე რეგიონის ახალგაზრდული კლუბის წევრი მოზარდების პასუხები თითქმის იდენტურია და ისინი პოზიტიურ და პროგრესულ ტენდენციებს ატარებენ.
ამ შემთხვევაშიც ძირითადი ორიენტირი გაკეთებულია ცოდნის გაღრმავებაზე, ინიციატივების და კრეატიულობის ზრდაზე.

	ქუთაისი	წყალტ	ხონი	სენაკი	ფოთი	კოკი	ჯამი
გავიღრმავე ცოდნა, რომელიც მინდა გამოვიყენო ცხოვრებაში	**46.6%**	**33.3%**	**53.3%**	**26.6%**	**53.3%**	**60%**	**45.5%**
გახვდი მეტად გახსნილი, კომუნიკაბელური, პუნქტუალური, დავძლიე კომპლექსები	**46.6%**	**13.3%**	**20%**	**26.6%**	**33.3%**	**33.3%**	**28.8%**
ვისწავლე დროის მართვა, დაფასება. გავხდი უფრო მობილიზებული, ორგანიზებული, აქტიური	**46.6%**	**33.3%**	**40%**	**26.6%**	**20%**	**20%**	**28.8%**
გავხდი მიზანდასახული, თავდაჯერებული, ამბიციური	**26.6%**	**33.3%**	**20%**	**33.3%**	**26.6%**	**33.3%**	**28.8%**
შევიძინე მგობრები, ვისთანაც საკუთარი აზრის გაცვლა შემიძლია	**13.3%**	**6.6%**	**20%**	**13.3%**	**13.3%**	**0%**	**11.1%**
შევიცვალე აზროვნება და სხვადასხვა საკითხს სხვაგვარად აღვიქვამ.	**33.3%**	**26.6%**	**26.6%**	**33.3%**	**20%**	**33.3%**	**28.8%**

გავხდი მეტად კრეატიული, გამიჩნდა ინიციატივები და აქტივობის სურვილი	26.6%	46.6%	13.3%	40%	40%	26.6%	32.2%
ჯერ ახალი წევრი ვარ, არ ვარ აქტიური, მაგრამ ვფიქრობ, მალე დავძლევ კომპლექსებს	6.6%	6.6%	13.3%	13.3%	6.6%	6.6 %	8.8%
ჩემში ჯერ არაფერი შეცვლილა, მომავალში ვიმედოვნებ ცვლილებებს	0%	0%	0%	0%	0%	0%	0%

დასკვნა

დასავლეთ საქართველოს 6 რეგიონის ახალგაზრდული კლუბის წევრებთან მუშაობის გავლენის მონიტორინგისთვის ჩატარებული ინტერვიუს სტატისტიკურმა და თვისობრივმა მაჩვენებლებმა, ახალგაზრდებზე დადებითი გავლენის შესახებ, როგორც გასულ წელს ჩატარებული მონიტორინგის უკანასკნელ კვლევაში, გვაჩვენა 4 ფუნდამენტალური და პრიორიტეტული შედეგი, რომლებზედაც დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ:

1. ყველა რეგიონის კლუბის წევრებისთვის შეხვედრებზე განხილული თემები საინტერესო და მნიშვნელოვანია. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ გენდერული თანასწორობის, ეთიკა-ესთეტიკისა და ადამიანის უფლებების - მართლმსაჯულების, ძალადობის საკითხებს.
2. 6 რეგიონის კლუბის ყველა წევრი აღნიშნავს, რომ ისინი ეფექტურად იყენებენ კლუბის შეხვედრებზე მიღებულ ინფორმაციას, როგორც პირად ცხოვრებაში, ასევე მეგობრებსა და მათ მიკრო სოციუმში.
3. გარდა კლუბის ახლად შემატებული წევრებისა, ისინი ცდილობენ, აქტიურად ჩაებან სხვადასხვა სახის საინფორმაციო თუ ინიცირებული შეხვედრებისა და ღონისძიებების, დებატების ორგანიზებაში. ახალ წევრებს ჯერ სხვადასხვა მიზეზის (პირადი კომპლექსები, ინიციატივის გამოვლინება და განხორციელება, ობიექტური ხელისშემშლელი მიზეზები) გამო არ ჰქონიათ საკუთარი ძალების გამოვლენის შესაძლებლობა.
4. კლუბში აქტიურად ჩართვის შემდგომ, გარდა შეძენილი ცოდნისა და ინფორმირებულობისა, ასევე აღნიშნავენ თავიანთ თავში აღმოჩენილ მნიშვნელოვან, პოზიტიურ ცვლილებებს და გარდატეხებს. გახდნენ უფრო კომუნიკაბელურები და საკუთარი თავის რწმენა გაიმყარეს, გახდნენ შინაგანად თავისუფლები, ორგანიზებულები, ისწავლეს თავისა და დროის გონივრულად მართვა. გახდნენ კონსტრუქციულები, გაუჩნდათ ინტერესთა ფართო სპექტრი და ჯანსაღი ამბიციები

სოციოლოგი თათა კალანდაძე